

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგება

*2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-44

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ ხელმძღვანელობას და პარტნიორს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2020 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს მთლიანობაში სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 27 სექტემბერი



**Building a better
working world**

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 27 სექტემბერი

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	6	55,714	63,063
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	7	(38,911)	(39,133)
საერთო მოგება		16,803	23,930
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,788)	(4,670)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(5,637)	(8,713)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	5,387	1,413
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		11,765	11,960
ფინანსური შემოსავალი	14	592	398
ფინანსური ხარჯები	16, 17	(2,305)	(2,200)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		1,174	700
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		11,226	10,858
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		11,226	10,858
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის სრული შემოსავალი		11,226	10,858

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2021 წლის 27 სექტემბერს შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ სახელით შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

კარიმ გულიევი

ფინანსური დირექტორი

მამუკა წულუკიძე

9-44 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	6	55,714	63,063
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	7	(38,911)	(39,133)
საერთო მოგება		16,803	23,930
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,788)	(4,670)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(5,637)	(8,713)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	5,387	1,413
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		11,765	11,960
ფინანსური შემოსავალი	14	592	398
ფინანსური ხარჯები	16, 17	(2,305)	(2,200)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		1,174	700
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		11,226	10,858
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		11,226	10,858
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		11,226	10,858

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2021 წლის 27 სექტემბერს შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ სახელით შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი


კარიმ გულიევი

ფინანსური დირექტორი


მამუკა წულუკიძე

9-44 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნები	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	98,275	109,763
არამატერიალური აქტივები	11	3,385	3,511
სულ გრძელვადიანი აქტივები		101,660	113,274
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივები, წმინდა		1,208	911
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	5,086	5,905
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	13	17,795	15,736
ავანსები და სხვა აქტივები		1,720	1,537
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	14	65,859	49,003
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	14	4,023	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	11,495	4,602
სულ მიმდინარე აქტივები		107,186	77,694
სულ აქტივები		208,846	190,968
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	1,709,174	1,709,174
გადაფასების რეზერვი	15	4,685	4,685
აკუმულირებული ზარალი		(1,561,748)	(1,572,974)
სულ კაპიტალი		152,111	140,885
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	16	13,279	12,498
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	17	3,329	3,749
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		16,608	16,247
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	18	821	1,145
საიჯარო ვალდებულებები	16	5,308	4,640
ანარიცხები		4,504	4,158
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	17	28,601	23,793
სახელშეკრულებო ვალდებულებები		893	100
სულ მიმდინარე ვალდებულებები		40,127	33,836
სულ ვალდებულებები		56,735	50,083
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		208,846	190,968

9-44 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი (მე-15 შენიშვნა)	გადაფასების რეზერვი (მე-15 შენიშვნა)	აკუმული- რებული ზარალი	სულ კაპიტალზე
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,709,174	4,685	(1,583,832)	130,027
წლის სრული შემოსავალი	–	–	10,858	10,858
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,709,174	4,685	(1,572,974)	140,885
წლის სრული შემოსავალი	–	–	11,226	11,226
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,709,174	4,685	(1,561,748)	152,111

9-44 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნები	2020	2019
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		11,226	10,858
<i>არაფულადი კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	10	12,679	13,715
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	11	126	143
მოძველებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა	9	1,514	1,333
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზედმეტობა და ჩამოწერილი მარაგების გაუქმება	9	(313)	(351)
გადახდილი ავანსებისა და სხვა აქტივების ჩამოწერა	9	159	226
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (შემობრუნება)/ანარიცხი	9,13	(4,551)	2,494
საგადასახადო აქტივების ჩამოწერა	9	-	607
საოპერაციო გადასახადებზე დარიცხული ანარიცხი	9	346	-
ფინანსური ხარჯები	16, 17	2,305	2,200
ფინანსური შემოსავალი	14	(592)	(398)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა, ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობების გამოკლებით		(1,820)	(1,755)
<i>საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები</i>			
ცვლილება გადახდილ ავანსებსა და სხვა აქტივებში		(342)	(343)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		2,492	(16,501)
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(382)	(886)
წმინდა ცვლილება საგადასახადო აქტივებში		(297)	118
ცვლილება სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებაში		(324)	926
სახელშეკრულებო ვალდებულებების ცვლილება		793	-
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		3,509	1,473
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი		(1,556)	(1,426)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		24,972	12,433
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(541)	(1,819)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(56)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		30	197
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		9,269	(6,011)
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	14	(4,023)	-
მიღებული პროცენტი	14	592	398
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(13,211)	(7,291)
ფინანსური საქმიანობა			
გადახდა საიჯარო ვალდებულებების ძირითადი წილისთვის	16	(3,596)	(2,814)
კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის მიმართ განხორციელებული გადახდა		(1,755)	(1,479)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(5,351)	(4,293)
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		483	202
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		6,893	1,051
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	14	4,602	3,551
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	14	11,495	4,602

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები

ძირითადი საშუალებების ნასყიდობა 2020 წლის განმავლობაში ასევე მოიცავდა მოძრაობას სხვა მიმდინარე ვალდებულებებში გრძელვადიანი აქტივებისთვის 680 ლარის ოდენობით (2019 წ.: 293 ლარი);

9-44 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ (შემდგომში „კომპანია“) არის იურიდიული პირი, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ხობის რაიონი, 5800, სოფელი ყულევი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვა, შენახვა და ჩატვირთვა გემებში თავისი ძირითადი საოპერაციო აქტივის - საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე ხობისწყლის შესართავთან მდებარე „შავი ზღვის ტერმინალის“ (შემდგომში „ტერმინალი“) მეშვეობით.

2018 წლის აპრილამდე კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი იყო ნიდერლანდების კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და ამავე ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანია „კონსერვეიშენ ჰოლდინგ ბივი“ (Conservation Holding B.V.). 2018 წლის აპრილში კომპანიის მესაკუთრეობა გადაეცა კვიპროსის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ და ამავე ქვეყანაში რეგისტრირებულ „რელექს ჰოლდინგს ლიმიტედს“ („Relex Holdings Limited“) (შემდგომში „მშობელი კომპანია“). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის მდგომარეობით, მშობელი კომპანია ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება და ლიკვიდაციის შემდგომ დაგეგმილია „სოკარის“ მიერ მშობელი კომპანიის შეძენა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (შემდგომში „სოკარი“). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორების მიერ პარტნიორთა საერთო კრებაზე. პარტნიორთა კრება, როგორც წესი, ტარდება საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის მეორე ნახევარში. პარტნიორს უფლება აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანოს გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში („ლ“) და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები:

(ა) აქტივებისა და ვალდებულებების მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ბ) უცხოური ვალუტები

კომპანიის ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების აღიარების თარიღისათვის დადგენილი ლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი სხვაობები ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობისა და ზარალის აღიარების შესაბამისად (ანუ თუ მუხლების სამართლიანი ღირებულების შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, მათზე საკურსო სხვაობებიც სხვა სრულ შემოსავალსა თუ მოგებაში ან ზარალში აისახება).

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) უცხოური ვალუტები (გაგრძელება)

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

(გ) შემოსავლის აღიარება

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის კლიენტზე გადაცემის მომენტში, იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. კომპანიამ დაასკვნა, რომ ის პრინციპალია შემოსავლების მომტან ყველა გარიგებაში (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი კლიენტისთვის გადაცემამდე).

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

საქონლის გადატვირთვა

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, ე.ი. როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს. შემოსავალი აღიარდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.

სანავსადგურო მომსახურება

სანავსადგურო მომსახურებიდან შემოსავალი მიიღება ნავსადგურში შემოსული გემებისთვის სხვადასხვა მომსახურების გაწევის შედეგად და აღიარდება მომსახურების გაწევისას და როდესაც სავარაუდოა ანაზღაურების მიღება.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოღებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარებიდან წარმოშობილი საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში და შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგების შემოსავლების მუხლში, მისი ოპერაციული ხასიათიდან გამომდინარე და ასევე შედის სხვა საოპერაციო შემოსავალში.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას კლიენტისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ გადახდილ საფასურზე. თუ კომპანია კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს კომპანიის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

(დ) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისგან დაბრუნებას ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, შესულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საგადასახადო აქტივების, წმინდა ან საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშგების დანერგვით.

ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

(ე) ძირითადი საშუალებები

(i) თავდაპირველი აღიარება და შემდგომი აღრიცხვა

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიზნირით, რომ გადაფასებული აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. კომპანიის მიერ აგებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი.

სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

გადაფასების შედეგად მიღებული ნამეტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში და კრედიტდება კაპიტალში აქტივის გადაფასების რეზერვში. თუმცა თუ იგი აღადგენს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რაც მანამდე მოგებაში ან ზარალში იყო აღიარებული, ასეთ შემთხვევაში ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გაქვითავს ამავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რაც აღიარებულია აქტივის გადაფასების რეზერვში.

(ii) დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება აქტივების ექსპლუატაციაში მიღებიდან.

(iii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივის გასვლის შემთხვევაში კაპიტალში ასახული გადაფასების ნამეტი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები

(v) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

მიწას, დაუმთავრებელ მშენებლობას და დამონტაჟების პროცესში მყოფ ძირითად საშუალებებს ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადა:

შენობები და სხვა ნაგებობები	25 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	9 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წლამდე

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(ვ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია არ ხდება და შესაბამისი ხარჯი აისახება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივის ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(ი) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვად.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია საკუთარ ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები).
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები).
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე.
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, შეზღუდულ ფულად სახსრებს, ფინანსური დაწესებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს და სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

შპს „მავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა, ან რამდენად შეინარჩუნა მან ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს ყველა ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა და სხვა აქტივებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული დავალიანებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებას, საიჯარო და სხვა მიმდინარე ვალდებულებებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

(თ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს და არაფინანსურ აქტივებს, მაგალითად ძირითად საშუალებებს, აფასებს სამართლიანი ღირებულებით საბალანსო უწყისის თითოეული თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება საბაზრო მონაცემები და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემები.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი საქმიანობის გაუფასურების ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა მანამდე გადაფასებული ქონებისა, რომლის გადაფასებაც აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი ქონების შემთხვევაში, გაუფასურების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი წინა გადაფასების თანხამდე.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვლის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

(კ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, როგორც არის ტრანსპორტირების და დამუშავების ხარჯი. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ხარჯებად ტარდება საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდის გამოყენებით.

(ლ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს მიეკუთვნება ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში და ბანკში. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს უპროცენტო მიმდინარე ანგარიშებს.

(მ) ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია

ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია წარმოადგენს ადგილობრივი ბანკის მიერ აკრედიტის გაცემასთან დაკავშირებით ფლობილ სავალდებულო დეპოზიტს.

(ნ) მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს სამ თვეზე მეტი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის მქონე პროცენტიან ანაბრებს.

(ო) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან ყველა გარიგება ფასდება თვითღირებულებით, თუ სხვა რამეს არ ითვალისწინებს ფასს, მაგალითად ფასს (IFRS) 2 „წილობრივი გადახდა“ ან ზასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

(ჟ) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდების და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის, რაც საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები

კომპანია აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივებს იჯარის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებს ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და ხუთწლიან მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადებს შორის მოკლე ვადაზე.

თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის კომპანიაზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები ასევე გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში *არაფინანსური აქტივების გაუფასურება*.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ჟ) იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. საიჯარო გადასახდელები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლებით სარგებლობის ღირებულებას, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა კომპანიის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიას, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. ცვლადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით (სანამ მათი გაწევა არ ხდება მარაგების საწარმოებლად) იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში გათვალისწინებული პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო გადახდების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშვება ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას საბუქსირო გემების მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, საოფისე აღჭურვილობის იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანია. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კომპანია, როგორც მოიჯარე

იჯარა, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2020 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „საწარმოს განმარტება“;
- ▶ ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 9 და ბასს (IAS) 39-ის ცვლილება „საპროცენტო განაკვეთის საბაზისო რეფორმა“;
- ▶ ბასს (IAS) 1 და ბასს (IAS) 8-ის ცვლილება „ტერმინის „არსებითის“ განმარტება“;
- ▶ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები;
- ▶ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ (ძალაშია 2020 წლის 1 ივნისის მდგომარეობით).

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ბასს (IAS) 1-ის ცვლილება „ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“

2020 წლის იანვარში ბასსს-მა გამოცა ბასს (IAS) 1-ის 69-დან 76-მდე პუნქტების ცვლილება - მოკლე და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიცირების მოთხოვნების განსასაზღვრად. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რას გულისხმობს ანგარიშსწორების დაფარვის უფლება;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის;
- ▶ ამ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს შესაძლებლობა იმისა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად იქნება წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების ვადები არ იმოქმედებს მის კლასიფიკაციაზე.

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს დაწყებული და მისი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მისი გამოყენება რეტროსპექტულად უნდა მოხდეს. დღეისათვის კომპანია აფასებს ცვლილებების გავლენას მიმდინარე პრაქტიკაზე და დასჭირდება თუ არა არსებული სესხის ხელშეკრულებებს ხელახალი შეთანხმება.

„კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“ - ფასს სტანდარტების ცვლილებები

2020 წლის მაისში ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 3-ის („საწარმოთა გაერთიანება, კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“) ცვლილება. ამ ცვლილების მიზანია 1989 წელს გამოცემულ სტანდარტზე „ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის საფუძველი“ საცნობარო ინფორმაციის ჩანაცვლება 2018 წლის მარტში გამოცემული სტანდარტით „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები“, მისი მოთხოვნების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

პოტენციური „მე-2 დღის“ შემოსულობების ან ზარალის თავიდან ასარიდებლად საბჭომ ფასს (IFRS) 3-ის აღიარების პრინციპის გამოთვალის შემთხვევა განსაზღვრა, რომელიც წარმოიშვა ისეთ ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე, რომლებიც, ცალკე გაწევის შემთხვევაში, ბასს (IAS) 37-ის ან ფასიკ (IFRIC) 21-ის („მოსაკრებლები“) ფარგლებში მოხვდება.

ამავდროულად, საბჭომ გადაწყვიტა ფასს (IFRS) 3-ის არსებული სახელმძღვანელო მითითების განმარტება პირობითი აქტივებისთვის, რომელზეც არ იმოქმედებს „ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პრინციპებზე“.

ცვლილებები ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდგომი საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მისი გამოყენება პერსპექტიულად ხდება.

„ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ - ბასს (IAS) 16-ის ცვლილება

2020 წლის მაისში ბასს-მა გამოსცა „ძირითადი საშუალებები - შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“, რომელიც საწარმოებს უკრძალავს ძირითადი საშუალების ღირებულებიდან წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი ამონაგების გამოკლებას, ამგვარი აქტივის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ფორმით ფუნქციონირებისთვის საჭირო ადგილმდებარეობაზე და მდგომარეობაში მოყვანის დროს. ამის ნაცვლად, საწარმო აღიარებს ამონაგებს ამგვარი ერთეულების რეალიზაციიდან და მათი წარმოების ხარჯებს მოგებაში ან ზარალში.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს და ამ პერიოდის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ის რეტროსპექტიულად უნდა იქნას გამოყენებული იმ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდა ყველაზე ადრე წარმოდგენილი პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ამ ცვლილებას.

„დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - ბასს (IAS) 37-ის ცვლილება

2020 წლის მაისში ბასსს-მა გამოსცა ბასს (IAS) 37-ის ცვლილება იმის განსაზღვრად, საწარმოს რომელი ხარჯი საჭიროებს გათვალისწინებას იმის განსაზღვრისას ხელშეკრულება დამამძიმებელია, თუ ზარალის მომტანი.

ეს ცვლილება „პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯების მეთოდზე“ ვრცელდება. საქონლის ან მომსახურებების მიწოდების ხელშეკრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ზღვრული ხარჯებს და სახელშეკრულებო საქმიანობებთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების განაწილებას. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები პირდაპირ არ უკავშირდება ხელშეკრულებას და ისინი გამოირიცხება, სანამ გარკვევით არ იქნება განსაზღვრული, რომ ისინი ერიცხება ხელშეკრულების კონტრაქტს.

ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. კომპანია ამ ცვლილებებს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლისთვისაც მას ჯერ არ შეუსრულებია ყველა ვალდებულება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც მან პირველად გამოიყენა ხსენებული ცვლილებები.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები - გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის“

ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების გაუმჯობესების პროცესის შემადგენელი ნაწილის სახით, ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 9 სტანდარტის ცვლილება. ცვლილება იძლევა იმ გადასახდელების კლასიფიცირებას, რომლებსაც მიმართავს საწარმო იმის განსაზღვრებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების ვადები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ვადებისგან. ეს მოიცავს მხოლოდ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის გადახდილ ან მიღებულ გადახდებს, მათ შორის მსესხებლის ან გამსესხებლის მიერ სხვა პირის სახელით განხორციელებულ ან მიღებულ გადახდებს. საწარმო იყენებს ფინანსური ვალდებულებების ცვლილებას, რომელიც იცვლება ან გადაიცვლება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების დღეს ან შემდეგ, რომელშიც პირველად გამოიყენება ცვლილება.

ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია მისი ვადაზე ადრე მიღება. კომპანია გამოიყენებს ფინანსური ვალდებულებების ცვლილებებს, რომლებიც იცვლება ან გადაიცვლება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების დღეს ან შემდეგ, რომელშიც პირველად გამოიყენება ცვლილება.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიაზე.

სხვა გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში. მოსალოდნელი არ არის, რომ ეს სტანდარტები გავლენას მოახდენენ კომპანიაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ფასს (IFRS) 1 - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს;
- ▶ ბასს (IAS) 41 „სოფლის მეურნეობა“ - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზრის პირობების ან გარიგებების ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით. კომპანია თავის ძირითად საშუალებებს საკმარისი სიხშირით აფასებს, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ძირითადი საშუალებების ბოლო შეფასება ჩატარდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ჩატარებული შეფასების საფუძველზე, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა მათი სამართლიანი ღირებულებისგან. მთავარი დაშვებები და მათი გავლენა ძირითადი საშუალებების სამართლიან ღირებულებაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მოცემულია მე-10 შენიშვნაში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების ინდიკატორების ზოგადი შეფასება. ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ფაქტობრივი მაჩვენებლები ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებლებს, რომლებიც დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში გამოიყენებოდა, რომელიც, თავის მხრივ მომზადებულია 2019 წელს კომპანიის გრძელვადიანი აქტივების შეფასების ნაწილის სახით და ფაქტიური საოპერაციო შედეგები შეესაბამებოდა ბიუჯეტირებულს. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების მაჩვენებლები არ არსებობდა.

(ii) სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

კომპანია აღიარებს რეზერვებს სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას. ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. კომპანიამ გამოიყენა კომპანიის საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელი, რომელიც მოვალეების მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს მოერგო.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), კომპანიამ განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

ამგვარად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი არაუზრუნველყოფილი თანხების რეზერვი 385 ლარის (2019 წ.: 4,936 ლარი) ოდენობით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებაა (მე-9 და მე-13 შენიშვნები).

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(iii) პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების შეფასება

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, ექვსი წელია გასული, საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს თავის საგადასახადო პოზიციას და განიხილავს იმ გარიგებებს, რომლებიც შეიძლება ექვეყნებოდა დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა. როდესაც ამის ალბათობა მაღალია, კომპანია ქმნის შესაბამის ანარიცხებს. მე-19 შენიშვნაში განხილული კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული კონკრეტული ვითარებები, რომლებშიც არსებობს გადინების რისკი. ამასთან ხელმძღვანელობის ალბათობის შეფასება მაღალი არ არის და შესაბამისად არც ანარიცხებია შექმნილი.

6. შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი გადატვირთვის მომსახურებიდან	46,557	55,286
შემოსავალი სანავსადგურო მომსახურებიდან	8,953	7,567
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	55,510	62,853
სხვა შემოსავალი	204	210
სულ შემოსავალი	55,714	63,063

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2020	2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	17,795	15,736
სახელშეკრულებო ვალდებულებები	893	100

სავაჭრო დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გადატვირთვის მომსახურებიდან აშშ დოლარშია გამოხატული. სავაჭრო დებიტორული დავალიანება სანავსადგურო მომსახურებიდან ლარშია გამოხატული. სავაჭრო დებიტორული დავალიანება უპროცენტოა.

სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც ითვლება კლიენტებისგან მიღებულ საზღაურებს, წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ან მომსახურება გაუწიოს ამ კლიენტებს. 893 ლარის ოდენობით კომპანიის სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება მოსალოდნელია 2021 წლის შემოსავლის სახით, რომელიც უკავშირდება საანგარიშგებო თარიღში დაუკმაყოფილებელი შესასრულებელ ვალდებულებებს. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში სახელშეკრულებო ვალდებულებებში შესული 100 ლარი აღიარებულია 2020 წლის შემოსავლად (2019 წ.: 86 ლარი).

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	12,805	13,858
სარკინიგზო გადაზიდვების ხარჯი	6,633	5,703
ნავსადგურის ტერიტორიის ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	6,620	5,597
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	4,631	5,228
ტექნიკური მომსახურება და კომუნალური ხარჯები	4,085	4,515
საგადასახადო ხარჯი	1,672	1,459
სადაზღვევო ხარჯი	1,496	1,331
გათბობის და საწვავის ხარჯი	644	912
საბუქსირო გემის იჯარის ხარჯი	193	334
სხვა	132	196
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	38,911	39,133

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები და დაქირავებულ პირთა სხვა გასამრჯელოები	3,164	2,993
პროფესიული მომსახურება	548	628
დაცვის მომსახურების საზღაური	548	576
კომუნიკაციის ხარჯები	317	266
სხვა	211	207
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	4,788	4,670

9. სხვა საოპერაციო ხარჯები და სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

	2020	2019
მოძველებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა (მე-12 შენიშვნა)	1,514	1,333
გამოყენებული მასალები	858	1,469
დასუფთავება	660	614
დაცვა-უსაფრთხოების მომსახურება	418	420
საოპერაციო გადასახადებზე დარიცხული ანარიცხი	346	–
გადახდილი ავანსებისა და სხვა აქტივების ჩამოწერა	159	226
სარეკლამო ხარჯი	72	126
საბანკო მომსახურების ღირებულება	46	44
საექსპორტო ბაჟი	14	18
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი (მე-13 შენიშვნა)	–	2,494
საგადასახადო აქტივის ჩამოწერა	–	607
სხვა	1,550	1,362
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	5,637	8,713

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. სხვა საოპერაციო ხარჯები და სხვა საოპერაციო შემოსავალი (გაგრძელება)

სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავდა შემდეგს:

	2020	2019
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის შემობრუნება (მე-13 შენიშვნა)	4,551	–
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზედმეტობა და ჩამოწერილი მარაგების გაუქმება	313	351
ხანძრით მიყენებული დაზიანების და საწვავის ხარჯების ანაზღაურება	77	578
საგარანტიო ანაზღაურება	32	128
ჯარტის გაყიდვა	–	75
სხვა	414	281
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	5,387	1,413

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშვნები და სხვა ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები (ა)	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	2,773	108,455	2,713	2,443	9,077	–	125,461
ფასს (IFRS) 16-ის მიღება	–	–	–	–	–	19,156	19,156
შესყიდვები	–	148	182	870	1,426	–	2,626
შიდა გადაცემები	–	5,414	10	(34)	(5,390)	–	–
გასვლები	–	–	(67)	(28)	(158)	(480)	(733)
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	2,773	114,017	2,838	3,251	4,955	18,676	146,510
შესყიდვები	–	59	14	906	242	–	1,221
გასვლები	–	–	(75)	(23)	–	–	(98)
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	2,773	114,076	2,777	4,134	5,197	18,676	147,633
2018 წლის 31 დეკემბრისთვის დარიცხული ცვეთა	–	(20,011)	(1,398)	(1,679)	–	–	(23,088)
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	(8,813)	(482)	(591)	–	(3,829)	(13,715)
გასვლებზე დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა	–	–	56	–	–	–	56
2019 წლის 31 დეკემბრისთვის დაგროვილი ცვეთა	–	(28,824)	(1,824)	(2,270)	–	(3,829)	(36,747)
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	(7,877)	(460)	(513)	–	(3,829)	(12,679)
გასვლებზე დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა	–	–	68	–	–	–	68
2020 წლის 31 დეკემბრისთვის დაგროვილი ცვეთა	–	(36,701)	(2,216)	(2,783)	–	(7,658)	(49,358)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,773	85,193	1,014	981	4,955	14,847	109,763
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,773	77,375	561	1,351	5,197	11,018	98,275

2020 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება მომწოდებელთან, ბიტუმის გასათბობი, დასარევი და ვაგონ-ცისტერნებიდან გადმოსხმის მოწყობილობის შესაძენად. 1,000,000 ევროს ოდენობით ფიქსირებული ფასის ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ამ მოწყობილობის 2021 წლის 22 თებერვლამდე მიწოდება. საწარმოს არ ჰქონია ძირითადი საშუალებების შეძენის სახელშეკრულებო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბერს.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია წარმოადგენს ფულადი სახსრების გენერირების დამოუკიდებელ ერთეულს. ძირითადი საშუალებების ბოლო შეფასება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩაატარა დამოუკიდებელმა შემფასებელმა და ამ შეფასების შედეგად, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდა მისი სამართლიანი ღირებულებისგან. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის დაანგარიშებაში გამოყენებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემები:

დისკონტირების განაკვეთი	13.33%
გრძელვადიანი ზრდის ტემპი	2.97%

დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელით მიღებული რიცხვი ყველაზე მგრძნობიარე იყო შემდეგი ამოსავალი მონაცემების მიმართ:

- ▶ დისკონტირების განაკვეთში 100 საბაზისო პუნქტით ზრდამ გამოიწვია სამართლიანი ღირებულების 9,021 ლარით შემცირება;
- ▶ გრძელვადიანი ზრდის განაკვეთში 100 საბაზისო პუნქტით შემცირებამ გამოიწვია სამართლიანი ღირებულების 6,367 ლარით შემცირება.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების ინდიკატორების ზოგადი შეფასება. ხელმძღვანელობამ შეადარა კომპანიის 2020 წლის ფაქტობრივი შედეგები ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებლებს, რომლებიც დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში გამოიყენებოდა, რომელიც, თავის მხრივ მომზადებულია კომპანიის გრძელვადიანი აქტივების შეფასების ნაწილის სახით. ფაქტიური საოპერაციო შედეგები შეესაბამებოდა ბიუჯეტირებულს, შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების მაჩვენებლები არ არსებობდა.

ძირითადი საშუალებები თვითღირებულების მოდელის გამოყენებით რომ შეფასებულიყო, მათი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 94,187 ლარი იქნებოდა (2019 წ.: 116,683 ლარი).

- (ა) გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების მოძრაობა 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის იყო შემდეგი:

	სახმელეთო მოწყობილობები ნავსადგურში	შენობები და სხვა ნაგებობები	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	18,563	593	19,156
გასვლები	(480)	–	(480)
ცვეთის ხარჯი	(3,711)	(118)	(3,829)
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14,372	475	14,847
ცვეთის ხარჯი	(3,711)	(118)	(3,829)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,661	357	11,018

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	სხვა არამატერიალური აქტივები		სულ
	ლიცენზიები		
2018 წლის 31 დეკემბერს	4,873	853	5,726
შესყიდვები	–	56	56
2019 წლის 31 დეკემბერს	4,873	909	5,782
სრულად ამორტიზებული აქტივის აღიარების შეწყვეტა	–	(909)	(909)
2020 წლის 31 დეკემბერს	4,873	–	4,873
დაგროვილი ამორტიზაცია			
2018 წლის 31 დეკემბერს	(1,283)	(845)	(2,128)
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში	(116)	(27)	(143)
2019 წლის 31 დეკემბერს	(1,399)	(872)	(2,271)
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში სრულად ამორტიზებული აქტივის აღიარების შეწყვეტა	(89)	(37)	(126)
2020 წლის 31 დეკემბერს	–	909	909
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	(1,488)	–	(1,488)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	3,474	37	3,511
	3,385	–	3,385

სამშენებლო სამუშაოებისა და ნავთობტერმინალის ფუნქციონირებისთვის ლიცენზია კომპანიამ მიიღო იმ პირობით, რომ ტერმინალის მიმდებარე შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ჩაატარებდა ეკოლოგიური გარემოს დაცვისა და რეაბილიტაციის სამუშაოებს. ამ ვალდებულების ფარგლებში კომპანიამ და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 2008 წლის 6 მაისს დამატებითი ხელშეკრულება გააფორმეს. დამატებითი ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიას დაეკისრა კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდისთვის 7,000,000 ევროს გადახდა 16 წლიანი ვადის განმავლობაში, აღნიშნული ფონდის გარემოს დაცვითი საქმიანობის დასაფინანსებლად. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ხარჯები მიეკუთვნება შავი ზღვის ტერმინალის აშენებისა და ფუნქციონირებისთვის ლიცენზიის მიღების ხარჯებს და შესაბამისად, სამომავლო გადახდების დისკონტირებული ღირებულება აღიარა არამატერიალურ აქტივად.

ლიცენზიის ხარჯი ამორტიზდება სასარგებლო გამოყენების 50 წლიან ვადაზე, რაც წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ტერმინალის მშენებლობისთვის გაცემული ნებართვის ვადას.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2020	2019
წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით შეფასებული ტექნიკური მომსახურებისთვის განკუთვნილი მასალები (ა)	2,978	3,817
კაბელები და სხვა ელექტრო მასალები	1,014	1,163
საწვავი	664	690
აქტივირებული ნახშირი (ბ)	93	–
ავტოტრანსპორტის სათადარიგო ნაწილები, შეფასებული წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით	24	50
საპოხი მასალები	–	81
სხვა	313	104
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5,086	5,905

- (ა) 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ ჩამოწერა 1,514 ლარის ღირებულების (2019 წ.: 1,333 ლარი) მოძველებული მასალები.
- (ბ) კომპანია აქტივირებულ ნახშირს იყენებს მისი აზოტის სადგურის ტექნიკური მომსახურებისთვის. 2019 წელს კომპანიამ გამოიყენა მისი მარაგების თითქმის მთლიანი რაოდენობა. შესაბამისად, 2020 წელს მარაგი შეივსო.

13. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

	2020	2019
გადატვირთვის მომსახურებასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	15,540	18,478
ნავსადგურზე დგომის გადასახადთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანებები	2,103	1,642
სხვა დებიტორული დავალიანებები	537	552
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (ა)	(385)	(4,936)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება, წმინდა	17,795	15,736

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებში შესული კრედიტის ხარისხის მიხედვით ანალიზი ასეთია:

2020 წლის 31 დეკემბერი	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>90 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.00%	0.00%	0.00%	2.34%	2.12%
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი დეფოლტირებული საბალანსო ღირებულება (ა)	546	647	555	16,432	18,180
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	–	385	385

- (ა) 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ნაშთი შედგება მოთხოვნებისგან ორი კლიენტის მიმართ: „Maddox DMCC“ და „Middle Asia Energy“. კომპანიამ კონკრეტულად ეს დებიტორული დავალიანებები განიხილა და გამოავლინა, რომ:
- კომპანია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოელოდა, რომ „Maddox DMCC“ სრულად დაფარავდა მის ვალდებულებებს 2021 წლის განმავლობაში. 2021 წლის მარტში „Maddox DMCC“-მა სრულად დაფარა მისი კრედიტორული დავალიანება კომპანიის მიმართ.
 - 2020 წლის 1 მაისს კომპანიამ, მისმა ახალმა კლიენტმა „Blits Logistics Services“ და „Middle Asia Energy“ გააფორმეს სამმხრივი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც „Blits Logistics Services“-მა იკისრა „Middle Asia Energy“-ის კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვალდებულება, ამ უკანასკნელის კლიენტთან მომავალი ბიზნეს-ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით. კომპანია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოელოდა, რომ ვალდებულებები სრულად დაიფარებოდა. 2021 წლის თებერვალში და მაისში „Blits Logistics Services“-მა სრულად დაფარა „Middle Asia Energy“-ის დაუფარავი ნაშთი.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (გაგრძელება)

შემდგომ პერიოდებში განხორციელებული მნიშვნელოვანი გადახდების გამო, მხოლოდ 385 ლარის (2019 წ.: 4,936 ლარი) გაუფასურება აღიარდა დებიტორული დავალიანებების სპეციფიური მიმოხილვის შემდეგ. კომპანიამ შემოაბრუნა ადრე აღიარებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებების რეზერვი ამ კლიენტებისთვის 4,551 ლარის ოდენობით.

2019 წლის 31 დეკემბერი	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>90 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.00%	0.00%	12.84%	100.00%	23.88%
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი დეფოლტირებული საბალანსო ღირებულება	5,407	5,715	5,294	4,256	20,672
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	680	4,256	4,936

სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში ცვლილება შემდეგია:

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი
2018 წლის 31 დეკემბერი	2,442
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი (მე-9 შენიშვნა)	2,494
2019 წლის 31 დეკემბერი	4,936
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის შემოაბრუნება (მე-9 შენიშვნა)	(4,551)
2020 წლის 31 დეკემბერი	385

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა ნაღდი ფულის ნაშთს საბანკო ანგარიშებზე. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს პროცენტი არ ერიცხება.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები წარმოდგენილია ერთ წლამდე ვადით განთავსებული მოკლევადიანი ანაბრებით. 2020 წელს ანაბრებზე მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა 592 ლარი (2019 წ.: 398 ლარი) შეადგინა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია შეადგენდა 4,023 ლარს. ეს სახსრები წარმოადგენს ერთ კომერციულ ბანკში 1,000,000 ევროს ოდენობით თანხაზე აკრედიტაციის გაცემის მიზნით განთავსებულ დეპოზიტს. 2020 წელს კომპანიის პარტნიორმა დაამტკიცა 2,000,000 აშშ დოლარის ოდენობით ბიუჯეტი ბიტუმის გადმოტვირთვის ობიექტის მშენებლობისთვის. ამ პროექტის ფარგლებში, კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება მომწოდებელთან და მხარეები შეთანხმდნენ გადახდი მეთოდზე აკრედიტაციის გამოყენებით, რომლის ვადა 2021 წლის აპრილამდეა. მომწოდებელმა ვერ შეძლო ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვალდებულების შესრულება და 2021 წელს ბანკმა გააუქმა აკრედიტაციი და თანხა კომპანიის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ანგარიშზე დაბრუნდა იმ ფაქტის გამო, რომ მომწოდებელმა ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და ვერ მიაწოდა კომპანიას მოწყობილობა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ერთპიროვნული მფლობელია „რელექს ჰოლდინგს ლიმიტედი“. საწესდებო კაპიტალი 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,709,174 ლარია.

(ბ) ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი ასახავს ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ზრდასა და შემცირებას იმდენად, რამდენადაც ღირებულების შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე აღიარებულ იმავე აქტივზე ზრდას.

16. იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია ფლობს საიჯარო ხელშეკრულებებს ფასს (IFRS) 16-ის ფარგლებში ფსკერსადრმავებელი სამუშაოების გემების (პორტის სახმელეთო მოწყობილობები) და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ხუთწლიანი საიჯარო ვადით. კომპანიამ ისარგებლა გათავისუფლების უფლებით მოკლევადიანად და დაბალფასიანად კლასიფიცირებული იჯარებისთვის. ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2020	2019
1 იანვარს	17,138	19,536
გასვლები	–	(480)
გადახდილი ძირითადი თანხა	(3,596)	(2,814)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	1,556	1,426
გადახდილი პროცენტი	(1,556)	(1,426)
წმინდა საკუროსო ზარალი	5,045	896
31 დეკემბერს	18,587	17,138
გრძელვადიანი წილი	13,279	12,498
მიმდინარე წილი	5,308	4,640

ქვემოთ მოცემულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

	2020	2019
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების ხარჯის ამორტიზაცია (გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება, ამორტიზაციის და ცვეთის ხარჯი)	3,829	3,829
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (ფინანსური დანახარჯები)	1,556	1,426
წმინდა საკუროსო ზარალი	5,045	896
მოკლევადიან იჯარებთან, დაბალი ღირებულების მქონე აქტივებთან და ცვალებად საიჯარო გადასახდელებთან დაკავშირებული ხარჯები (გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება, საბუქსირო გემის იჯარის ხარჯი)	193	334
სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული მთლიანი თანხა	10,623	6,485

2020 წელს იჯარებისთვის მთლიანმა ფულადმა ნაკადებმა, მათ შორის მოკლევადიანი და დაბალფასიანი აქტივების იჯარებისა, 5,345 ლარი (2019 წ.: 4,487 ლარი) შეადგინა.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. სხვა ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2020	2019
შენატანები კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდში, გრძელვადიანი ნაწილი (მე-11 შენიშვნა) (ა)	3,329	3,749
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ	3,329	3,749

(ა) კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდზე 2020 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი 749 ლარს (2019 წ.: 774 ლარი) გაუტოლდა.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა მიმდინარე ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2020	2019
პოლიექსპორტის წილში გადასახდელი თანხა (ბ)	18,769	16,426
ძირითად საშუალებების მშენებლობაზე გადასახდელი თანხა	5,008	4,328
კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდში შესატანი თანხები, მიმდინარე ნაწილი (მე-11 შენიშვნა)	1,934	1,543
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	507	431
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	2,383	1,065
სხვა მიმდინარე ვალდებულებები, სულ	28,601	23,793

(ბ) 2016 წლის 3 აგვისტოს კომპანიამ სეიშელის რესპუბლიკაში რეგისტრირებული იურიდიული პირისგან - „Akkert Group S.A.“ ნავთობის თხევადი გაზის ტერმინალი შეისყიდა.

18. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები

	2020	2019
კრედიტორული დავალიანება დაბუქსირების მომსახურებისთვის	501	399
კრედიტორული დავალიანება შესყიდული საწვავისთვის	208	312
სხვა კრედიტორული დავალიანება	112	434
სულ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	821	1,145

19. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო შემოწმების შედეგები

2018 წელს კომპანიას ინსპექცია ჩაუტარა საქართველოს შემოსავლების სამსახურმა. შემოწმება მოიცავდა პერიოდს 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე. 2018 წლის 28 დეკემბერს საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გასცა საგადასახადო შემოწმების აქტი 2015-2017 წლებზე. ამ აქტის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურმა დამატებითი გადასახადები და ჯარიმები დარიცხა 128,147 ლარის ოდენობით, რაც მოიცავდა გადასახადის ძირითად თანხას 85,431 ლარის და საგადასახადო ჯარიმას 42,716 ლარის ოდენობით.

შემოსავლების სამსახურმა ექვ ქვეშ დააყენა საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების ხელშეკრულების მართებულობა, რადგან მას კომპანია იყენებდა 2006-2016 წლებში კონკრეტულ ფინანსურ ოპერაციებში კომპანიასა და მის ყოფილ მშობელ კომპანიას შორის.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო შემოწმების შედეგები (გაგრძელება)

კომპანია არ აღიარებს შემოსავლების სამსახურის მიერ დარიცხულ გადასახადს და გაასაჩივრა სამსახურის გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დავების საბჭოში. ამ მომენტისთვის, ეს საკითხი ფინანსთა სამინისტროზეა გადაცემული.

კომპანიას სჯერა, რომ შემოსავლების სამსახურის სარჩელს საფუძველი არ აქვს და ის გეგმავს განაგრძოს მათი შეფასების გასაჩივრება სასამართლოებში. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით, ფინანსთა სამინისტროს დონეზე ამ საკითხებზე გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შენახვა

გემებში ჩატვირთვამდე, კომპანია ნავთობს და ნავთობპროდუქტებს თავის რეზერვუარებში ინახავს. კომპანია პასუხს აგებს ამ საქონლის საიმედოდ შენახვაზე. კომპანია მისთვის მიზარებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესადლო დანაკარგებისგან 50,000,000 აშშ დოლარით არის დაზღვეული.

სასამართლო დავები

მისი არარეზიდენტი კონტრაქტორის მიერ ფოთის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში ინიცირებულ საქმეთწარმოებაში კომპანია ერთდროულად მოპასუხეც არის და მოსარჩელეც. კონტრაქტორი ითხოვს 2017 წლის განმავლობაში მიწოდებული საქონლისთვის დარჩენილი თანხის გადახდას 4,144 ლარის ოდენობით (რომელიც შესულია სხვა მიმდინარე ვალდებულებებში 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) და ასევე კომპანიის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას 5,173 ლარის ოდენობით.

მეორეს მხრივ, კომპანია ითხოვს, რომ კონტრაქტორმა დაარღვია ხელშეკრულება და პროექტის შეუსრულებლობის გამო კომპანიამ დაკარგა პოტენციური კლიენტები, რამაც გამოიწვია არარეალიზებული შემოსავალი 7,444 ლარის ოდენობით. იმისათვის, რომ კომპანიას აღარ დაეკარგა სხვა კლიენტები, მან თავად ჩაატარა სარემონტო სამუშაოები. გაწეული ხარჯის მთლიანი თანხა 2,597 ლარს შეადგენდა. კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კომპანიას მნიშვნელოვნად უფრო დაბალფასიანი წინადადება ჰქონდა მიღებული, რომელიც კომპანიამ დააუარა. შედეგად, კომპანია ითხოვს 8,289 ლარის ოდენობით სხვაობას კონტრაქტორისთვის გადახდილ თანხასა და სხვა კონტრაქტორის მიერ შეთავაზებულ ფასებს შორის. კომპანია ასევე ითხოვს წლიური საპროცენტო შემოსავლის მიღებას 2,000 ლარის ოდენობით ანაზღაურების თანხაზე. მოთხოვნის მთლიანი ღირებულება 20,330 ლარს შეადგენს.

2021 წლის 27 მაისს ფოთის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა სარჩელის და შესაგებებელი სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ორივე მხარემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება.

ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ამ საკითხებზე ჯერ არ გამოუტანია.

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით კონტრაქტორის სარჩელი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია და მას წარმატების მცირე შანსი აქვს.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	შესყიდვა დაკავშირებული მხარეებისგან	(ვალდებულებები)/მ ოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ
2020			
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ (ა)	–	2,295	(208)
შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“	–	1	(1)
შპს „სოკარ ჯორჯია სიქიურითი“ (ბ)	–	527	(44)
„სოკარ ქეიფის“ ფილიალი საქართველოში (გ)	–	2,037	–
შპს „სოკარ მეთანოლი“	–	–	1
„სოკარ ინფორმეიშენ ტექნოლოჯი“ (ბ)	–	108	–
2019			
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ (ა)	–	3,165	(312)
შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“	–	–	11
შპს „სოკარ ჯორჯია სიქიურითი“ (ბ)	–	625	–
„სოკარ ქეიფის“ ფილიალი საქართველოში (გ)	–	3,655	(283)
შპს „სოკარ მეთანოლი“	4	–	1
„სოკარ ინფორმეიშენ ტექნოლოჯი“ (ბ)	–	97	(8)

- (ა) კომპანია ყოველდღიური საქმიანობისთვის საჭირო საწვავს და სხვა ნავთობპროდუქტებს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმისგან“ ყიდულობს.
- (ბ) კომპანია სატელეკომუნიკაციო მხარდაჭერის მომსახურებას ყიდულობს სოკარის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტისგან. შპს „სოკარ ჯორჯია სიქიურითი“ უსაფრთხოების მომსახურებას გასწევს.
- (გ) შპს „სოკარ ქეიფის“ ფილიალი საქართველოში კომპანიას ამარაგებს ხარაჩოებით, ასაფეთქებელი და შეღებვის მომსახურებებით.

(ბ) კომპანიის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

2020 და 2019 წლებში კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი წარმოდგენილია ორი პირით. მათმა წლიურმა ანაზღაურებამ, რომელიც მოიცავს მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებს, 2020 წელს 869 ლარი (2019 წ.: 788 ლარი) შეადგინა. კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა სხვა ანაზღაურებას არ იღებს.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

21. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. კომპანიას მიაჩნია, რომ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობა, ამ აქტივებისა და ვალდებულებების მოკლევადიანი ხასიათის გამო, მათ სამართლიან ღირებულებათა გონივრული შეფასებაა, გარდა საიჯარო ვალდებულებებისა. საიჯარო ვალდებულებების შემთხვევაში, მათი სამართლიანი ღირებულება შემდეგი სახით განისაზღვრება:

	დონე	2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ვალდებულებები (მე-16 შენიშვნა)	დონე 3	18,587	16,435	17,138	17,138

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშო თარიღისათვის არსებული განაკვეთების გამოყენებით.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება ფასდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონით, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის 1-ელ დონეში ფასდება. სამართლიანი ღირებულების იერარქიაში ცვლილება არ მომხდარა.

22. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების, საიჯარო და სხვა მიმდინარე ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს, სხვა აქტივებს, მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, ფულად სახსრებს, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

კომპანიას აქვს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანია არის სოკარის მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილი იმართება და კონტროლდება სოკარის დონეზე. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა კომპანიას საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიაღებება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანება) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან გამომდინარე.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება გადახდილ ავანსებზე მომსახურების გაწევით და ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს მაღალი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანობა ურთიერთობა აკავშირებს. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაზრები აქვს განთავსებული და იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღებას, რომლებზეც ავანსის გადახდის ოფციონი არ არის წარმოდგენილი. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონდა გრძელვადიანი ანაზრები საბანკო ანგარიშებზე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა 100,892 ლარს (2019 წ.: 70,878 ლარი) შეადგენდა.

	2020	2019
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	65,859	49,003
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11,495	4,602
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	4,023	–
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	17,795	15,736
მთლიანი საკრედიტო რისკი	99,172	69,341

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა სავალუტო კურსების სავარაუდო მერყეობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია (ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო):

		სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრი მოგებაზე
2020	აშშ დოლარი	15.00% (7.00%)	10,255 (4,786)
2019	აშშ დოლარი	10.00% (5.00%)	4,870 (2,435)
2020	ევრო	16.00% (8.00%)	(387) 193
2019	ევრო	11.00% (6.00%)	(687) 375

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

23. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას უცხოურ ვალუტაში გამოხატული შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აქვს:

	2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	14,878	–	14,273	–
ფულადი სახსრები და მოთხოვნები				
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	77,264	16	53,539	13
ფულადი სახსრები, რომელთა				
გამოყენებაც შეზღუდულია	–	4,023	–	–
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	–	(4,521)	–	(4,714)
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	(23,777)	(1,934)	(20,754)	(1,543)
წმინდა პოზიციები, თავდაპირველ				
ვალუტებში	68,365	(2,416)	47,058	(6,244)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანია თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური ვალი წარმოადგენს სხვაობას მთლიან მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის. კომპანიის მიზანია, არსებული ოპერაციების დაფინანსებასა და ძველი ვალდებულებების დასაფარად ფულადი სახსრების დაგროვებას შორის ბალანსი დაიცვას.

ქვემოთ, ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები, პროცენტის სავარაუდო გადახდების ჩათვლით.

	1 წელზე თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი				
სავაჭრო კრედიტორული				
დავალიანებები	821	–	–	821
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	6,706	20,703	–	27,409
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	–	–	4,521	4,521
საიჯარო ვალდებულებები	1,405	4,295	12,902	18,602
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,932	24,998	17,423	51,353
2019 წლის 31 დეკემბერი				
სავაჭრო კრედიტორული				
დავალიანებები	1,145	–	–	1,145
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	7,065	15,763	–	22,828
საიჯარო ვალდებულებები	1,206	3,645	14,515	19,366
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	–	–	4,714	4,714
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,416	19,408	19,229	48,053

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

24. აუდიტორის გასამრჯელო

კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 262 ლარს (2019 წ.: 229 ლარი) შეადგენს.

სხვა აუდიტორების და აუდიტორული კომპანიების ანაზღაურება მათ მიერ გაწეული პროფესიული მომსახურებისთვის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 63 ლარს (2019 წ.: 151 ლარი) შეადგენდა, დღგ-ის გარეშე.

25. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

(i) გადახდა „Akkert Group“-ის მიმართ

2016 წელს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება კომპანიასთან „Akkert Group“, რომელიც ამ დროისთვის შპს „პოლიექსპორტის“ 100%-იანი წილის მფლობელი იყო. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ 9,228,000 აშშ დოლარად შეიძინა შპს „პოლიექსპორტის“ 100%-იანი წილი კომპანიისგან „Akkert Group“. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დაუფარავი კრედიტორული დავალიანება „Akkert Group“-ის მიმართ 5,728,000 აშშ დოლარს (18,769 ლარი) შეადგენდა. 2021 წლის 24 თებერვალს კომპანიამ სრულად დაფარა ხსენებული კრედიტორული დავალიანება „Akkert Group“-ის მიმართ.

(ii) კომპანიის კაპიტალის შემცირება და დივიდენდების გადახდა „სოკარისთვის“

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფინანსური დაწესებულებების მიმართ მართებდა 65,859 ლარი (16,369,398 ევრო), საიდანაც 10,000,000 ევრო შემდგომში „სოკარს“ გადაეცა. გარიგების სტრუქტურა და მისი აღსრულების ვადები ასეთია: მშობელი კომპანია ამცირებდა კომპანიის სააქციო კაპიტალს შესაბამისი თანხების ოდენობით, მშობელი კომპანიის მიერ შემდგომში „სოკარისთვის“ დივიდენდების გადახდის გზით. იმის გამო, რომ მშობელი კომპანია ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება და მისი საბანკო ანგარიშები დახურულია, მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმდნენ, რომ კომპანია პირდაპირ გადაურიცხავდა ხსენებულ თანხას „სოკარს“. შედეგად, მშობელ კომპანიას და კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მშობელი კომპანია კაპიტალის შემცირებას ახორციელებდა კომპანიის სააქციო კაპიტალის 10,000,000 ევროს ოდენობის თანხით შემცირების გზით. ამის სანაცვლოდ მშობელი კომპანია „სოკარზე“ გასცემდა შუალედური მოგების დივიდენდებს 10,000,000 ევროს ოდენობით. როგორც ზემოთ ვახსენეთ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თანხას კომპანია პირდაპირ გადაუხდიდა „სოკარს“. აღსანიშნავია, რომ კომპანიის წესდება და სხვა სამართლებრივი დოკუმენტები არ აწესებენ რაიმე სახის შეზღუდვას კომპანიის საწესდებო კაპიტალის შემცირებაზე. ამის შემდეგ კომპანიის საწესდებო კაპიტალი მეტწილად შედგებოდა პარტნიორისგან მიღებული სესხის ძირითადი თანხისგან და დარიცხული პროცენტისგან, რომელიც საბოლოოდ საწესდებო კაპიტალად დაკონვერტირდა. ამასთან, „სოკარმა“ დაამტკიცა დადგენილება 10,000,000 ევროს ოდენობით შუალედური მოგების დივიდენდების გადახდის თაობაზე.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2021 წლის 27 სექტემბერს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

მმართველობითი ანგარიშგება

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

სუბიექტის საიდენტიფიკაციო ნომერი : 204892170

სუბიექტის სამართლებრივი ფორმა : შ. პ. ს

სუბიექტის საფირმო სახელწოდება/სახელწოდება : შპს შავი ზღვის ტერმინალი

სუბიექტის რეგისტრაციის თარიღი : 11/05/1996

მარეგისტრირებელი ორგანო : ვაკის რაიონის სასამართლო

იურიდიული მისამართი : საქართველო, ხობის რაიონი, სოფელი ყულევი.

ფაქტობრივი მისამართი : ხობის რაიონი, სოფელი ყულევი

საფოსტო ინდექსი : 5817

ტელეფონი : +99532 224 38 38

ვებ-გვერდი : <https://www.kulevioilterminal.com>

ელ.ფოსტა : info@bst.socar.az

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს "შავი ზღვის ტერმინალის" მფლობელებს და ხელმძღვანელობას

შპს "შავი ზღვის ტერმინალის" 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 28 სექტემბერს გაცემულ ჩვენს დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 28 სექტემბერი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს "შავი ზღვის ტერმინალის" მფლობელებს და ხელმძღვანელობას

შპს "შავი ზღვის ტერმინალის" 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 28 სექტემბერს გაცემულ ჩვენს დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთა წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 28 სექტემბერი

მმართველობითი ანგარიშგება

შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ (შემდგომში „კომპანია“) ძირითადი საქმიანობაა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვა, შენახვა და ჩატვირთვა გემებში თავისი ძირითადი საოპერაციო აქტივის - საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე ხობისწყლის შესართავთან მდებარე „შავი ზღვის ტერმინალის“ (შემდგომში „ტერმინალი“) მეშვეობით.

შპს „შავი ზღვის ტერმინალმა“ დაიწყო მუშაობა 2008 წლის ზაფხულში. გადასაზიდი ჯამური სიმძლავრე წელიწადში შეადგენს 10 მილიონ ტონას, მათ შორის სამი მილიონი ტონა ნავთობი, სამი მილიონი ტონა დიზელის საწვავი, ოთხი მილიონი ტონა მაზუთი.

„ტერმინალს“ გააჩნია 27 ავზი, მთლიანი მოცულობა სარეზერვუარო პარკის არის 402 ათასი კუბური მეტრი. ნავთობის მიღება-გადაზიდვის ოპერაციების განსახორციელებლად „ტერმინალს“ გააჩნია ორი ძირითადი და ერთი დამხმარე ნავმისადგომი, ძირითადი ნავმისადგომები აღჭურვილია 3 x 16 ტექნიკური მახასიათებლის ჩასატვირთი მოწყობილობით, რომელთა გადატვირთვის სიმძლავრე შეადგენს საათში 1000-8000 კუბურ მეტრს. ტერმინალს შეუძლია 40 000 -დან 100 000-მდე ტევადობის გემების მიღება. „ტერმინალს“ ემსახურება 6 სარკინიგზო ესტაკადა. სარკინიგზო ესტაკადებზე შესაძლებელია 208 სარკინიგზო ვაგონის ერთდროულად გადმოტვირთვა. ტერმინალს გააჩნია 6 სატუმბი სადგური.

„ტერმინალზე“ წლის განმავლობაში საშუალოდ 158 თანამშრომელი და 253 კონტრაქტორი ფიზიკური პირი იყო დასაქმებული. „ტერმინალის“ თანამშრომლები სარგებლობენ სხვადასხვა სახის უფასო მომსახურებით, მათ შორის: უფასო კვება, უფასო ჯანმრთელობის დაზღვევა, უფასო სატრანსპორტო მომსახურება.

„ტერმინალი“ მუდმივად ახორციელებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ტრენინგებზე თანამშრომლების გაზავებით, ტრენინგები ტარდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ მუდმივად აფინანსებს სხვადასხვა სოციალურ პროექტებს, ეხმარება ავადმყოფ მოქალაქეებს, აფინანსებს საფეხბურთო კლუბებს, სკოლებს, ეხმარება ომის ვეტერანებს, მიუსაფართა სახლებს და აფინანსებს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებს.

2018 წლის აპრილამდე „კომპანიის“ ერთპიროვნული მფლობელი იყო ნიდერლანდების კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და ამავე ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანია კონსერვეიშენ ჰოლდინგ ბი.ვი. (Conservation Holding B.V.). 2018 წლის აპრილში „კომპანიის“ მესაკუთრეობა გადაეცა კვიპროსის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ და ამავე ქვეყანაში რეგისტრირებულ რელექს ჰოლდინგს ლიმიტედს (Relex Holdings Limited) (შემდგომში „მშობელი კომპანია“).

ქვემოთა ცხრილში მოცემულია მთავრი ფინანსური ინდიკატორები. თანხები მოცემულია ათას ლარში:

	2020	2019
შემოსავალი	55,714	63,063
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(38,911)	(39,133)

მმართველობითი ანგარიშგება

საერთო მოგება	16,803	23,930
საერთო მოგების მარჟა	30.16%	37.95%
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,788)	(4,670)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(5,637)	(8,713)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5,387	1,413
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	11,765	11,960
საოპერაციო მოგების მარჟა	21.12%	18.97%
ფინანსური შემოსავალი	592	398
ფინანსური ხარჯები	(2,305)	(2,200)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	1,174	700
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	11,226	10,858
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–
წლის მოგება	11,226	10,858
სხვა სრული შემოსავალი	–	–
წლის სრული შემოსავალი	11,226	10,858
წმინდა მოგების მარჟა	20.15%	17.22%

კომპანიის მიმდინარე და გრძელვადიანმა აქტივებმა 2020 წელს შეადგინა 208,846 ათასი ლარი (2019: 190,968 ათასი ლარი).

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის თანახმად „ტერმინალი“ სერთიფიცირებულია: ISO 9001 (ხარისხის მენეჯმენტის სისტემა), ISO 14001 (გარემოს მართვის სისტემა), OHSAS 18001 (შრომისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა).

სს „საქართველოს რკინიგზასა“ და შპს „შავი ზღვის ტერმინალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად „ტერმინალმა“ მოახდინა სადგური ფართო წყლის და მასთან დაკავშირებული ოთხი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომელიც 2012 წელს გადაეცა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, სადგური მთლიანად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა დადებით გავლენას ახდენს „კომპანიის“ ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც აისახება შემდეგ მნიშვნელოვან პუნქტებში:

1. „ტერმინალი“ პროდუქტებს მიიღებს არა 20 კილომეტრით დაშორებულ სადგურ ჭალადიძეში, არამედ 2 კილომეტრით დაშორებულ სადგურ ფართო წყალში.
2. „ტერმინალის“ ტვირთგამტარიანობა გაიზარდა 30%-ით.
3. „ტერმინალი“ წელიწადში აკეთებს დაახლოებით 80 000-90 000 დოლარის ეკონომიას, რაც ადრე იხარჯებოდა ჭალადიძი-ფართოწყლის მონაკვეთის ტექნიკურ მომსახურებაზე.

„კომპანიის“ საოპერაციო სტრატეგია იქმნება ძირითადი საქმიანობის განვითარებისათვის საოპერაციო საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

მმართველობითი ანგარიშგება

„კომპანიის“ სამოქმედო სტრატეგიის ძირითადი მიზანია წარმატებული ოპერაციის მიღწევა - რაც გულისხმობს საოპერაციო საქმიანობის შესრულებას უსაფრთხოდ და მაღალი ეფექტურობით. თითოეული ავზი აღჭურვილია ყველა იმ მოწყობილობით, რომელიც აუცილებელია უსაფრთხო ოპერაციის, ინსპექტირებისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ავზების მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა არსებული ინფორმაცია გადაყვანილია საკონტროლო ოთახში ინტელექტუალური გადამცემებისა და დეტექტორების საშუალებით. საკონტროლო ოთახი განლაგებულია „ტერმინალში“ და აღჭურვილია ტექნოლოგიით, რათა გააკონტროლოს და მართოს ტექნოლოგიური პროცესები ავტომატური მართვის სისტემის მეშვეობით.

2017 წლის თებერვალში ექსპლუატაციაში შევიდა მე-6 სარეზერვუარო პარკი რომელიც მოიცავს: ორ 3 000 მეტრ კუბიან რეზერვუარს და სამ 2 000 მეტრ კუბიან რეზერვუარს საერთო მოცულობით 12 000 მეტრ კუბი, რაც საშუალებას აძლევს „ტერმინალს“ უფრო მეტი რაოდენობის და ნაირსახეობის ნავთობპროდუქტი მიიღოს.

მაღალი სიბლანტის ნავთობპროდუქტის დაცლის დროის შემცირების მიზნით, 2017 წელს „ტერმინალმა“ ასევე შეიძინა 42 გამაცხელებელი მოდული და დაამატა რამოდენიმე ბოილერი, საერთო ღირებულებით 17 700 000 ლარი, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს „ტერმინალის“ გამტარიანობა.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად „ტერმინალზე“ განხორციელდა არსებული ავზების N15;17;20;22; მოდერნიზება, კერძოდ, დამონტაჟდა მოძრავი სახურავები, რაც საგრძნობლად შეამცირებს ნავთობპროდუქტების აორთქლებას.

ხარისხის კონტროლის მიზნით „ტერმინალზე“ მოქმედებს ლაბორატორია, რომელიც განკუთვნილია ნავთობპროდუქტების ქიმიური და ფიზიკური ანალიზისთვის და ახორციელებს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლს

2020 წელს დაიწყო ბიტუმის ჩამოტვირთვა-გადაზიდვის ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობა, რომლის საპროექტო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 2 400 000 აშშ დოლარს, ასევე 21-რეზერვუარზე დამონტაჟდა მოძრავი სახურავი რაც საგრძნობლად ამცირებს პროდუქტის აორთქლებას.

2019 წელთან შედარებით 2020 წელს გადაზიდული საქონლის რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 7.7%-ით.

საწარმოს მიერ წარმოებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა:

2020 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევით და განვითარების საქმიანობაში.

მმართველობითი ანგარიშგება

სამომავლო პროექტები:

2021 წელს იგეგმება ბიტუმის ჩამოტივრთვა-გადაზიდვის ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობის დასრულება.

ასევე იგეგმება ახალი 30-ე რეზერვუარის მშენებლობა, რომლის ტევადობა იქნება 5 000 კუბური მეტრი, საპროექტო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 750 000 აშშ დოლარს, სამუშაოებს ასრულებს ადგილობრივი კომპანია შპს „გოდოლი“.

აგრეთვე მიმდინარეობს ტერმინალის ტერიტორიის ზღვის ხაზის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

უსაფრთხოება:

არსებობს სტანდარტული კომპლექტი ამოცანებისა, რომლებიც ტარდება უსაფრთხოების გუნდის მიერ. უსაფრთხოების გუნდი მონიტორინგს უწევს უზრუნველყოს „კომპანიის“ თანამშრომლების უსაფრთხოება. უსაფრთხოების გუნდი ჩართულია პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზებაში, რათა შეამციროს პროფესიული დაზიანებები და დაავადებები რომლებიც გამოწვეულია წარმოების ფაქტორებით. გარდა ამისა, „კომპანიის“ უსაფრთხოების გუნდი აწარმოებს შიდა „ტერმინალის“ უსაფრთხოების ოპერაციის სისტემის ტრენინგს მისი 10 თანამშრომლისთვის, რომლებიც გახდებიან თავიანთი დეპარტამენტების უსაფრთხოების წარმომადგენლები და მონაწილეობას მიიღებენ „ტერმინალში“ ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და ხარისხის მართვის სისტემაში.

„კომპანია“ ახორციელებს და ინარჩუნებს ეფექტურ სტანდარტებს რისკების (PTW), იზოლაციისა და სამუშაოზე ხელმისაწვდომობის შესაფასებლად, რომლებიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა პროცესები და ამოცანები ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტისა და ხარისხის მართვის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად.

გარემოს დაცვა:

„შავი ზღვის ტერმინალის“ გეოგრაფიული მდებარეობის (კოლხეთის ეროვნული პარკის სიახლოვის) გათვალისწინებით, „კომპანიისთვის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია გარემოს დაცვა და დაბინძურების პრევენცია. „კომპანიამ“ განსაზღვრა „ტერმინალის“ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ასპექტი და განახორციელა საჭირო შემარბილებელი ღონისძიებები. გარემოს დაცვის ღონისძიებებში მხედველობაში მიიღება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შენახვისა და ტრანსპორტირების პროცესში ჩართული აღჭურვილობა, რომელიც ხელს უშლის გარემოში ნახშირწყალბადების შემთხვევით გაჟონვას და ამცირებს მავნე ნივთიერებების ატმოსფეროში გათავისუფლების შესაძლებლობას.

მმართველობითი ანგარიშგება

„შავი ზღვის ტერმინალი“ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი მონიტორინგის, კვლევისა და რეაბილიტაციის ეროვნული კოლხეთის პარკის ფინანსურ მხარდაჭერას. „შავი ზღვის ტერმინალსა“ და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, „ტერმინალი“ მუდმივად აკონტროლებს გარემოს. გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროცესი აღწერილია მონიტორინგის სქემაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. მიმდინარე მონიტორინგის სქემის თანახმად, „შავი ზღვის ტერმინალმა“ უნდა აწარმოოს გარემოს დაცვის დეტალური კვარტალური მონიტორინგი, რომელიც მოიცავს:

- ა. „ტერმინალის“ ტერიტორიაზე ნიადაგის ნიმუშების აღებასა და ლაბორატორიულ შემოწმებას ჰიდროკარბონის შემცველობაზე.
- ბ. მდინარე ცივასა და პორტის ტერიტორიიდან წყლის ნიმუშების ლაბორატორიულ შემოწმებას.
- გ. ჰაერის ხარისხის მონიტორინგს ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. იგი მოიცავს აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროსა და პალიასტომის ტბის აუზს. პარკი ჩამოყალიბდა კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორიების, საერთაშორისო მნიშვნელობის ადგილების დაცვის მიზნით. შპს „შავი ზღვის ტერმინალსა“ და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად 2009 წლიდან „ტერმინალის“ მიერ კოლხეთის განვითარების ფონდში გადარიცხული თანხა შეადგენს დაახლოებით 14,450,574 ლარს.

ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა :

„კომპანიის“ ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო კრედიტორული, გრძელვადიანი და მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებებისა და სხვა მიმდინარე ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია „კომპანიის“ ოპერაციების დაფინანსება. „კომპანიის“ ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს, მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

„კომპანიას“ აქვს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები. „კომპანია“ არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის (შემდგომში „სოკარი“) მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილი იმართება და კონტროლდება „სოკარის“ დონეზე. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა „კომპანიას“ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია „კომპანიის“ ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები.. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით „კომპანიას“ ფინანსური ზარალი მიაღებება. „კომპანიას“ საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო დებიტორული ანგარიშები) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან გამომდინარე.

მმართველობითი ანგარიშგება

საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება ძირითად შემთხვევებში, მომსახურების გაწევით წინასწარ მიღებულ ავანსებზე და ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს მაღალი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც „კომპანიასთან“ უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაზღაურები აქვს განთავსებული და სავაჭრო დებიტორული ანგარიშების ამოღებას.

„კომპანია“ სავალუტო რისკს მართავს უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფულის ნაშთებით. სავალუტო რისკს ისიც ამცირებს, რომ შემოსავლებთან დაკავშირებული გარიგებების დიდი ნაწილი აშშ დოლარშია.

ლიკვიდურობის რისკი:

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანიას“ გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ „კომპანიის“ მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და „კომპანიის“ რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

„კომპანია“ თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური ვალი წარმოადგენს სხვაობას მთლიან მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის. „კომპანიის“ მიზანია, არსებული ოპერაციების დაფინანსებასა და ძველი ვალდებულებების დასაფარად ფულადი სახსრების დაგროვებას შორის ბალანსი დაიცვას.

პირობითი ვალდებულებები:

2018 წელს სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა ჩაატარა შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ თემატური კამერალური შემოწმება. შემოწმება მოიცავდა 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 აპრილამდე პერიოდს და შეეხებოდა კომპანიის მიერ 2006 წელს საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების ფარგლებში აღებულ სესხზე დადგენილი ფასის საბაზრო პრინციპებთან შესაბამისობის და ამ ოპერაციებთან მიმართებაში ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ნორმების გამოყენების საკითხის შესწავლას. 2018 წლის 28 დეკემბრის N3793 საგადასახადო შემოწმების აქტის, 2018 წლის 28 დეკემბრის N39426 ბრძანებისა და 2018 წლის 31 დეკემბრის N094-304 საგადასახადო მოთხოვნის მიხედვით, კომპანიას შესამოწმებელ პერიოდზე დამატებით დაერიცხა 128,147,523 ლარის ოდენობის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი, მათ შორის 85,431,682 ლარი ძირითადი გადასახადის სახით, ხოლო 42,715,841 ლარი საურავის სახით.

კომპანიასა და მის დამფუძნებელ ჰოლანდიის რეზიდენტ საწარმო „კონსერვეიშენ ჰოლდინგს ბი.ვი“-ს შორის 2006 წლის 18 დეკემბერს დაიდო სესხის ხელშეკრულება 10 წლის ვადით, რომლის საფუძველზეც კომპანიამ ყულევის ტერმინალის მშენებლობის დაფინანსების

მმართველობითი ანგარიშგება

მიზნით მიიღო 119,226,681 აშშ დოლარი, 15%-იანი საპროცენტო სარგებლის პირობით, უზრუნველყოფის გარეშე. შემდგომ, „კონსერვეიშენ ჰოლდინგს ბი.ვი“ პერიოდულად ზრდიდა სესხის მოცულობას თავდაპირველი ხელშეკრულების ფარგლებში და საბოლოო ჯამში შეადგინა 241 586 083.09 აშშ დოლარი. არსებული საბანკო ამონაწერის მიხედვით, დამატებითი სესხის თანხების ჩარიცხვა კომპანიის საბანკო ანგარიშზე მოხდა Carlina-ს მიერ.

აღსანიშნავია, რომ სესხის გაცემის მომენტისთვის „კონსერვეიშენ ჰოლდინგს ბი.ვი“-ს მესაკუთრეს წარმოადგენდა კვიპროსის რეზიდენტი საწარმო Relex Holdings LTD (შემდგომში, „Relex“). Relex-ს, ისევე როგორც ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულების რეზიდენტი Felissa International Inc.-ს (შემდგომში, „Felissa“) ფლობდა ამავე სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია Carlina. Carlina-ს, თავის მხრივ, ფლობდა Azerbaijan ACG Limited, რომლის მესაკუთრესაც წარმოადგენს აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკარი“. ამასთან, ზემოაღნიშნული სესხის თანხები „კონსერვეიშენ ჰოლდინგს ბი.ვი“-მ ასევე სესხის სახით მიიღო Felissa-სგან.

2016 წელს „კონსერვეიშენ ჰოლდინგს ბი.ვი“-მ კომპანიის კაპიტალში შეიტანა სესხის მთლიანი თანხა, მათ შორის პროცენტისა და ჯარიმის თანხები. შედეგად, კომპანიამ 2016 წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითა სესხზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის თანხები, რაც ჯამურად შეადგენდა 569,558,523 ლარს (პროცენტი - 410,082,137 ლარი, ჯარიმა - 159,476,387 ლარი). 2018 წელს დაიწყო „კონსერვეიშენ ჰოლდინგს ბი.ვი“-ს ლიკვიდაციის პროცესი და ამავე წლის აპრილში კომპანიის პირდაპირი მესაკუთრე გახდა „Relex holding“.

საგადასახადო შემოწმების პროცესში, საგადასახადო შემმოწმებელი (შემდგომში, „შემმოწმებელი“) დაეყრდნო საქართველოს საგადასახადო კოდექსის (შემდგომში, „სსკ“) 73-ე მუხლის მე-9 ნაწილს და მიიჩნია, რომ არსებული ტრანსაქციის ფარგლებში კომპანია ცდილობდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის დადებული საერთაშორისო შეთანხმების (შემდგომში, „ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება“) ფარგლებში საგადასახადო შეღავათის მოპოვებას. შემმოწმებლის მოსაზრებით, „კონსერვეიშენ ჰოლდინგს ბი.ვი“ შექმნილი იყო მხოლოდ აღნიშნული მიზნით და არ წარმოადგენდა მისაღები პროცენტის ბენეფიციურ მესაკუთრეს, რამდენადაც მას არ ჰქონდა აქტივები, ფუნქციები და არ გაწევდა რისკებს. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, შემმოწმებელმა დაასკვნა, რომ 2006 წელს დადებული სესხის ხელშეკრულება იყო საგადასახადო სქემის ნაწილი და კომპანიას დაარიცხა გადასახადი კაპიტალში შეტანილი პროცენტისა და ჯარიმის თანხებზე სსკ-ის 134-ე და 275-ე მუხლების შესაბამისად.

კომპანია არ აღიარებს შემოსავლების სამსახურის მიერ დარიცხულ გადასახადს და გაასაჩივრა სამსახურის გადაწყვეტილება საგადასახადო დავების საბჭოში. ამ მომენტისთვის, ეს საკითხი ფინანსთა სამინისტროზე გადაცემული.

კორონავირუსის (COVID-19) პანდემია:

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან

მმართველობითი ანგარიშგება

დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად კოვიდ-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა.

საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. კომპანია აკონტროლებს კორონავირუსის (კოვიდ-19) გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა.

კარიმ გულიევი

გენერალური დირექტორი

28 სექტემბერი, 2021 წელი

მამუკა წულუკიძე


ფინანსური დირექტორი

28 სექტემბერი, 2021 წელი

მმართველობითი ანგარიშგება

დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად კოვიდ-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა.

საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. კომპანია აკონტროლებს კორონავირუსის (კოვიდ-19) გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა.



კარიმ გულიაშვილი

გენერალური დირექტორი

28 სექტემბერი, 2021 წელი



მამუკა წულუკიძე

ფინანსური დირექტორი

28 სექტემბერი, 2021 წელი